ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 215

"23" ივლისი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით აუქციონში გამარჯვებული შპს "ქართლიენერჯი"-სთვის (ს/კ 404561568), ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-6 და მე-11 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „აუქციონში გამარჯვებულ შპს „ქართლიენერჯი"-სთვის (ს/კ 404561568) ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენებისთვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 10 ივლისის №19.760.992 განკარგულების დანართით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების, პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ქართლიენერჯი"-სთვის (ს/კ 404561568) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯი"-ს შორის 2019 წლის 22 მარტს გაფორმებული იჯარის შესახებ №-455-1-23227 ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. შეთანხმდეს „აუქციონში გამარჯვებულ შპს „ქართლიენერჯი"-სთვის (ს/კ 404561568) ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენებისთვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 10 ივლისის №19.760.992 განკარგულების დანართით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ქართლიენერჯი“-ს შორის 2019 წლის 22 მარტს გაფორმებული იჯარის შესახებ N-455-1-23227 ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 კვ.მ 4 (ოთხი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ტყემალაძე

1) 01.12.07.015.036;

2) 01.19.20.017.039;

3) 01.19.16.002.192;

4) 01.10.13.014.053;

5) 01.14.04.022.026;

6) 01.14.05.008.353;

7) 01.18.05.008.256;

8) 01.11.05.036.072;

9) 01.11.13.011.033;

10) 01.14.11.011.029;

11) 01.14.11.006.038;

12) 01.14.11.007.012;